საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-87/ნ

2021 წლის 12 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებების ანაზღაურების წესის“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 დეკემბრის N01-133/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებების ანაზღაურების წესის“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 დეკემბრის N01-133/ნ ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 29/12/2020; სარეგისტრაციო კოდი: 470230000.22.035.016824) დამტკიცებულ „ ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებების ანაზღაურების წესში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და მე-9 მუხლის მე-12 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-13, მე-14 და მე-15 პუნქტები:

„13. ამ წესის მე-5 მუხლის მე-3 პუნტის გათვალისწინებით, სააგენტოს ცენტრალური აპარატის კონტროლისა და/ან ზედამხედველობის ფუნქციის მქონე სტრუქტურული ერთეული, პერიოდულად და შერჩევითი პრინციპით, ახორციელებს დასაქმებულისათვის დახმარების მიღების უზრუნველსაყოფად დამსაქმებლის მიერ სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებში წარდგენილი დოკუმენტებით გათვალისწინებული ინფორმაციის დადარებას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ – შემოსავლების სამსახურის (საგადასახადო ორგანო) მიერ წარმოებულ მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში (ბაზებში) არსებულ ინფორმაციასთან.

14. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ – შემოსავლების სამსახურის (საგადასახადო ორგანო) მიერ წარმოებულ მონაცემთა ელექტრონულ ბაზაზე (ბაზებზე) წვდომა ხორციელდება სააგენტოსა და საგადასახადო ორგანოს შორის არსებული შეთანხმების შესაბამისად.

15. ამ მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის დადარების პერიოდულობისა და შერჩევითი პრინციპით განხორციელების პირობები განისაზღვრება სააგენტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი — **ეკატერინე ტიკარაძე**